

ქალების პასიური საარჩევნო უფლება-ეროვნული და საერთაშორისო  
კანონმდებლობის ანალიზი

თათია ივანიაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია ივანიაძე

30.06.2019

## აბსტრაქტი

დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს გენდერული თანასწორობა, რომელიც ქალს და კაცს თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს ანიჭებს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ასევე მიუხედავად კონსტიტუციით გამყარებული თანასწორობის უფლებისა, საქართველოში არსებულ რეალობაზე დაკვირვებით აშკარაა, რომ ქალების უფლებრივი მდგომარეობა პოლიტიკაში არასახარბიელოა, რასაც პარლამენტში ქალთა დაბალი რაოდენობით, კერძოდ 14.8% წარმომადგენლობაც ადასტურებს.<sup>1</sup>

მსოფლიოს მასშტაბით ქალებისთვის არსებობს უამრავი სახის უხილავი ბარიერი, რის გამოც მათთვის რთულია პოლიტიკაში თავის დამკვიდრება, შემდეგ კი მაღალი თანამდებობის დაკავება. ამას განაპირობებს მრავალი მიზეზი, რის გამოც ქალები თავიანთ პასიურ საარჩევნო უფლებას არ/ვერ იყენებენ.

საქართველომ ხელი მოაწერა მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას და კონვენციას, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციას ეწინააღმდეგება და ქალის როლის გაზრდას პოლიტიკაში ხელს უწყობს, თუმცა მიუხედავად ამისა, ქალებს ბევრად უფრო მეტი შრომა და ბრძოლა უწევთ, რათა დაიკავონ მაღალი თანამდებობები.

ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე საქართველოში საუბრები დიდი ხანია დაიწყო, თუმცა წინსვლა ამ კუთხით არ შეიმჩნევა. რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისი ქვეყნებიც, რომლებმაც მოახერხეს ქალთა და კაცთა შორის არსებული დისბალანსის დარღვევა

---

<sup>1</sup> world and regional averages, regional parliamentary assemblies. (2019). Retrieved from <http://archive.ipu.org> (29.06.2019)

პოლიტიკაში და განხილული იქნება ის მიმართულებები და აქცენტები, რომლებიც ქვეყნებმა და მათ შორის საქართველომაც უნდა დაიჭიროს.

სამაგისტრო ნაშრომში განხილული იქნება ქალთა პასიური საარჩევნო უფლება, ფაქტორები რომლებიც ზემოქმედებს ამ უფლებაზე, ასევე განვლილი ეტაპები, როგორი იყო მდგომარეობა ადრე, ახლა როგორია და სამომავლოდ რა მოქმედებები არის საჭირო, რათა მიღწეულ იქნას ქალების პოლიტიკური გაძლიერება.

აუცილებელია, კანონმდებელმა მიიღოს ისეთი ცვლილებები, რომლებიც საქართველოსთვის იქნება ყველაზე ხელსაყრელი. ამ პრობლემის გადაჭრისთვის ძალიან კარგია, რომ მაგალითისთვის გვაქვს სხვა და სხვა ქვეყნებში უკვე დანერგილი და გამართლებული საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში გაძლიერებას და უფრო აქტიურად ჩაბმას. თუ კი ქმედითი ცვლილებები არ გატარდება კომპლექსურად, მაშინ საქართველო ძალიან დიდი ხნის მანძილზე ვერ მოახერხებს ქალების წარმომადგენლობის გაზრდას პოლიტიკაში.

საძიებო სიტყვები: ქალების პასიური საარჩევნო უფლება, საარჩევნო უფლება, ქალთა როლი პოლიტიკაში, გენდერული თანასწორობა;

## Abstract

One of the constituents of a democratic state is gender equality, which grants equal rights and capabilities to women and men. According to the Constitution of Georgia, every citizen of Georgia has the right to participate in the referendum and elections of state, autonomous republic and local self-government bodies from the age of 18. Furthermore, despite the fact that the right of equality is defended by the constitution, based on the existing reality in Georgia, it is obvious that the women's rights in politics are in a disadvantaged situation. Its actual depiction is a low number of women in the parliament, specifically, they have only 14.8% representation.

There are numerous types of invisible barriers for women across the globe, which makes it difficult for them to enter into politics and then get promotions. This is caused by numbers of reasons and that's why they cannot or are not using their right to vote.

Georgia has signed several international treaties and conventions, which is against women's discrimination and promotes women's role in politics, however, women have to work harder and struggle to reach high positions.

Talks about women's political participation have begun long ago, however, progress has not been achieved in this regard. Definitely, there are exceptional states that have managed to break the imbalance between women and men in politics and major orientations and tendencies will be discussed that should be implemented by countries and Georgia among them.

The passive electoral right of women will be discussed in frames of the Master's thesis, furthermore, factors affecting the given right, the past stages, what was the situation earlier, now and what actions should be taken in order to achieve women's political strengthening in future.

It is extremely important, legislators to make corresponding changes, which will be appropriate for Georgia. For solving the mentioned issue, we have various states as an example who have successfully implemented justified policies, which will contribute to strengthening women's political life and will engage them more actively. If effectual changes won't be made in complexity, then Georgia will not be able to increase women's representation in politics for a very long time.

Keywords: The passive electoral rights of women, electoral rights, women's role in politics, gender equality;